



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/ს
2017 წლის 10 იანვარი
ქ. თბილისი

2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. 2019 წლის 11 იანვარი - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ აკადემიურ პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობის განსაზღვრა;
2. 2019 წლის 14 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით - შიდა მობილობის წესით ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველის განცხადების შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ რეგისტრაცია;
3. 2019 წლის 21 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით - კრედიტების აღიარება და ჩასარიცხ პირთა შესახებ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ გადაწყვეტილებების მომზადება;
4. 2019 წლის 24 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და შიდა მობილობაში მონაწილე სტუდენტს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმება;
5. 2018 წლის 28 იანვარი - შიდა მობილობის წესით სტუდენტის ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის შესახებ რექტორის ბრძანების მომზადება.

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი
პროფ. დოქტ. ილიას ჩილოღლუ

